ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N31

2025 წლის 25 აპრილი
ქ. ამბროლაური

„კულტურისა და სპორტის სფეროში საპატიო წოდებების მინიჭებისა და ჯილდოს გაცემის პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 დეკემბრის N74 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტებისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შევიდეს ცვლილება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 დეკემბრის N74 განკარგულებით დამტკიცებულ „კულტურისა და სპორტის სფეროში საპატიო წოდებების მინიჭებისა და ჯილდოს გაცემის პროგრამა“-ში და პროგრამის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.ბ“ და „ვ.გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ.ბ) სპორტის ოლიმპიური სახეობის კონტინენტის ჩემპიონატის პირველი საპრიზო ადგილისთვის - 10 000 (ათი ათასი), მეორე საპრიზო ადგილისთვის - 7000 (შვიდი ათასი), მესამე საპრიზო ადგილისთვის - 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო სპორტის არაოლიმპიური სახეობის კონტინენტის ჩემპიონატის პირველი საპრიზო ადგილისთვის - 3000 (სამი ათასი), მეორე საპრიზო ადგილისთვის - 2000 (ორი ათასი), მესამე საპრიზო ადგილისთვის - 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;

ვ.გ) სპორტის ოლიმპიური სახეობის მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი საპრიზო ადგილისთვის - 15 000 (თხუთმეტი ათასი), მეორე საპრიზო ადგილისთვის - 10 000 (ათი ათასი), მესამე საპრიზო ადგილისთვის - 7000 (შვიდი ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო სპორტის არაოლიმპიური სახეობის მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი საპრიზო ადგილისთვის - 4000 (ოთხი ათასი), მეორე საპრიზო ადგილისთვის - 3000 (სამი ათასი), მესამე საპრიზო ადგილისთვის - 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.“

2. განკარგულების პირველი პუნქტში აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით „კულტურისა და სპორტის სფეროში წოდებების მინიჭებისა და ჯილდოს გაცემის პროგრამა“ ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში,

ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქ. №13).

4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ასლან საგანელიძე**

დანართი

კულტურისა და სპორტის სფეროში საპატიო წოდებების მინიჭებისა და ჯილდოს გაცემის პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის სფერო და მიზანი

1. პროგრამის ფარგლებში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის მოღვაწეებს მიენიჭებათ საპატიო წოდება და გადაეცემათ ფულადი ჯილდო.

2. პროგრამის მიზანია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის სფეროს წარმომადგენლების შრომითი ნაყოფიერების, პროდუქტიულობის ზრდა და მოტივაციის ამაღლება.

3. საპატიო წოდების მინიჭებისა და ჯილდოს გაცემის ინიციატორია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური (ტექსტში შემდგომ - „სამსახური“).

მუხლი 2. წოდებები და ჯილდოები

პროგრამა ითვალისწინებს შემდეგი სახის საპატიო წოდებებს:

ა) „**კულტურის საუკეთესო მოღვაწე**“ – ფულადი ჯილდო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. აღნიშნულ წოდება მიენიჭება კულტურის სფეროს მოღვაწეს, რომელსაც გამოავლენს სამსახური, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენელთა ჩართულობით;

ბ) „**წლის საუკეთესო ბიბლიოთეკარი**“ – ფულადი ჯილდო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული წოდება მიენიჭება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ბიბლიოთეკების თანამშრომელს, რომელსაც გამოავლენს ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ მიერ შექმნილი კომისია. კომისიის შემადგენლობაში უნდა იყვნენ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლებიც;

გ) „**წლის საუკეთესო მკითხველი**“ – ფულადი ჯილდო 300 (სამასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული წოდება მიენიჭება საჯარო და საბავშვო ბიბლიოთეკების თითო ყველაზე აქტიურ მკითხველს. მონაცემებს შეისწავლის სამსახური;

დ) „**წლის საუკეთესო სპორტსმენი**“ – ფულადი ჯილდო სპორტის ოლიმპიურ ინდივიდუალურ სახეობაში 1000 (ერთი ათასი) ლარის, არაოლიმპიურ ინდივიდუალურ სახეობაში 500 (ხუთასი) ლარს ოდენობით. კანდიდატს გამოავლენს სამსახური, სასპორტო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე;

ე) „**წლის საუკეთესო ნაკრები**“ - გუნდურ სახეობაში საუკეთესო შედეგების მქონე გუნდს გადაეცემა ფულადი ჯილდო 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით. კანდიდატს გამოავლენს სამსახური, სასპორტო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე;

ვ) **სპორტსმენი**, რომელიც ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირიდან მიწვეულია საქართველოს ნაკრებში, მიიღებს ფულად ჯილდოს კალენდარული წლის განმავლობაში ერთხელ:

ვ.ა) გუნდური სპორტის სახეობის შემთხვევაში და ინდივიდუალური სპორტის სახეობის პირველი საპრიზო ადგილისთვის - 1 000 (ერთი ათასი), მეორე საპრიზო ადგილისთვის - 700 (შვიდასი), მესამე საპრიზო ადგილისთვის - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

ვ.ბ) სპორტის ოლიმპიური სახეობის კონტინენტის ჩემპიონატის პირველი საპრიზო ადგილისთვის - 10 000 (ათი ათასი), მეორე საპრიზო ადგილისთვის - 7000 (შვიდი ათასი),

მესამე საპრიზო ადგილისთვის - 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო სპორტის არაოლიმპიური სახეობის კონტინენტის ჩემპიონატის პირველი საპრიზო ადგილისთვის - 3000 (სამი ათასი), მეორე საპრიზო ადგილისთვის - 2000 (ორი ათასი), მესამე საპრიზო ადგილისთვის - 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;

ვ.გ) სპორტის ოლიმპიური სახეობის მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი საპრიზო ადგილისთვის - 15 000 (თხუთმეტი ათასი), მეორე საპრიზო ადგილისთვის - 10 000 (ათი ათასი), მესამე საპრიზო ადგილისთვის - 7000 (შვიდი ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო სპორტის არაოლიმპიური სახეობის მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი საპრიზო ადგილისთვის - 4000 (ოთხი ათასი), მეორე საპრიზო ადგილისთვის - 3000 (სამი ათასი), მესამე საპრიზო ადგილისთვის - 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით;

ვ.დ) თუ სპორტსმენს ფულადი ჯილდოს მიღების უფლება წარმოეშვება ვ.ბ. და ვ.გ. პუნქტების საფუძვლით, ჯილდო მიეცემა ვ.გ. პუნქტით - მაქსიმალური თანხის უპირატესობის პრინციპით.

ზ) „**წლის საუკეთესო მწვრთნელი**“ - ფულადი ჯილდო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული წოდება მიენიჭება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ შესაბამის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთან შრომით ურთიერთობაში მყოფ მწვრთნელს, რომელსაც გამოავლენს სამსახური ა(ა)იპ-ების დირექტორების მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან;

თ) „**ახალგაზრდა ხელოვანი**“ - ფულადი ჯილდო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული წოდება მიენიჭება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ სახელოვნებო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის აღსაზრდელს რომელსაც, ა(ა)იპ-ების დირექტორების მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან, გამოავლენს სამსახური;

ი) „**წლის საუკეთესო მედიკოსი**“ - ფულადი ჯილდო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული წოდება მიენიჭება ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მოღვაწე ექიმსა და ექთანს, რომლებიც გამოვლინდებიან შესაბამის ჯანდაცვის დაწესებულებებში ჩატარებული ფარული კენჭისყრის საშუალებით. კენჭისყრის ჩატარებას უზრუნველყოფს სამსახური.

მუხლი 3. პროგრამის ადმინისტრირება

პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს სამსახური. სამსახური იღებს პასუხისმგებლობას, პროცესი წარიმართოს გამჭვირვალედ, ობიექტურად და მიუკერძოებლად.

მუხლი 4. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამის დაფინანსების წყაროა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

მუხლი 5. პროგრამის ვადები

პროგრამის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2025 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 6. შეფასების კრიტერიუმი

პროგრამის შეფასების კრიტერიუმია სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული სფეროების განვითარება, ამ სფეროებში მოღვაწე ადამიანების წახალისების, მოტივირების და მათი ღვაწლის დაფასების გზით.

მუხლი 7. დასკვნითი დებულება

პროგრამაში ცვლილებების ინიცირება შეუძლია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერს დამოუკიდებლად ან სამსახურის ხელმძღვანელის მიმართვის საფუძველზე.